

ნინელი ჭოხონელიძე

მართულმსაზღვრელიანი ხალხური ლექსიკური შესიტყვებები და ფრაზეოლოგიზმები რ. ინანიშვილის ენის მიხედვით

რ. ინანიშვილის სისადავითა და მხატვრულობით ცნობილ ენაში უხვადაა წარმოდგენილი ხალხური შესიტყვებები და ფრაზეოლოგიზმები, რაც მის ენას განსაკუთრებულ იერსახეს აძლევს, რადგან შესიტყვებათა სინტაგმატური და სემანტიკური კავშირის განხორციელებისათვის გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის უზუსტეს, ტრადიციას.

ამჟამად ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა ის შესიტყვებები და ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ქველში მითითებული არაა, ანდა რ. ინანიშვილის მიხედვითაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ მწერლის მიერ გამოყენებული ყველა სიტყვა თუ შესიტყვება აუცილებელი არაა აისახოს ქველში, ეს მწერლის სიმფონია-ლექსიკონის მოვალეობაა.

როგორც ცნობილია, სუბსტანტიური განსაზღვრება მნიშვნელობით სხვადასხვაგვარია. მისი საშუალებით შეიძლება გამოიხატოს კუთვნილება, დანიშნულება, წარმომავლობა და სხვ. შესაბამისად, შესიტყვების კომპონენტები ლექსიკის სხვადასხვა სფეროს შეიძლება განეკუთვნებოდეს: ცხოველებს, მწერებს, ჭურჭელს, მცენარეს, საჭმელს, ტანსაცმელს, ავადმყოფობას, ხალხურ თამაშებს და სხვ.

მწერლის ენაში დასტურდება როგორც თავისუფალი შესიტყვებები (როცა შესიტყვების წევრები შეიძლება შეიცვალოს სხვადასხვაგვარი სიტყვებით), ისე – შეზღუდული (როცა შესიტყვების ერთ-ერთ წევრს შემოსაზღვრული მოხმარების სფერო აქვს, რის გამოც მეორე წევრის არჩევანი შეზღუდულია). ძირითადად, რა თქმა უნდა, თავისუფალი შესიტყვებები დასტურდება, შეზღუდული შესიტყვებები კი უფრო სახელდებისას გვხვდება.

ჰაერში იჭერს კოლოებს და **წყლის ადლაბიჯებს** – მზომელებს (შველ. 51, 12).

ხავერდოვანო **მკათათვის ატმებო** (გოლ. 149, 29).
ყბის ძირში აკოცა (ალერს. 115, 15).
მარმაშის მანდილს იკავებდა (ჯაფ. 75, 21).
 კუკრუჭანები..... მძიმე-მძიმედ დიდი აშბით ამოჰქონდათ **თათარის ქვაბიდან** (შორ. 153, 3).
 (თევდორე პაპამ) **ხაფანგის კირკლები** გადასწია (მეგობ. 142, 80).
 იქ ხო **ნაზუქის სუნში** დაიხრჩობოდი, შენი თავის მზემა! (სად. 28, 1).
 იყო... გასაოცარი მობანე და **კაკლების მხერტყავი** (ალერს. 401, 27).
 ესენი იყვნენ მისი მუდმივი მეინახენი და **ხასიათის გამსწორებლები** (მეგობ. 26, 23).
ღობის ძირებს გაუყვა (ალერს. 59, 19).
 ცოფს **წყლის შიშსაც** ეძახიან (შორ. 108, ქვ. 3).
 მართული განსაზღვრება ხშირად გვხვდება სახელწმინებთანაც: აღარ მშველოდა... **ყურების ჩამოღურსვა** (შორი 104, 5).
შინდის შეთვალვას ხომ არაფერი სჯობს (ასულ. 85, 11).
კუფხლების აღმოჩენა დედასაც უყვარდა და შენც (ალერს. 32, 4).
 განა „**ადგილის აჩემება**“ არ იცით (წვეთ. 123, 16).
 იცოდა **ყელის ამოწევის** მეორე ხერხიც. ამას „**ქალაქის დანახვება**“ ერქვა (შორ. 217, 8).
 შესიტყვებისაგან განსხვავებით, რომელიც, მართალია, ერთ მნიშვნელობას გადმოსცემს, მაგრამ შესაძლებელია მისი დაშლა და შეცვლა სხვადასხვა სიტყვით, ფრაზეოლოგიზმები ერთი განუყოფელი, ხატოვანი, ექსპრესიული და სემანტიკურად გაუთიშავი ლექსიკური ერთეულია. რ. ინანიშვილი მას ხშირად მიმართავს დიალოგებში, განსაკუთრებით პერსონაჟების მეტყველებისას, მათი ირონიის თუ დაცინვის გამოსახატავად. მაგ.:
 ქმარმა, არამზადამ, ვიღაც **სცენის ზაირაღში** გაცვალა (ასულ. 188, 17).
 შენ ხომ სულ **ადგილის მამად** უდგებარ აქაურობას! (გოლ. 9, 16).
 ბიჭები **მუშტრის თვალით** ათვალიერებდნენ ფეხზე მდგარ კერხვებსა (ასულ. 137, 23).
 მაგის ჯანი კი დაიწვას, მაგისი! მაგ ტარტაროზისა, მაგ **ფერმის ვირთავასი!** (შორ. 29, ქვ. 7).

გვხვდება სამწევრიანი შესიტყვებები თუ ფრაზეოლოგიზმები. ასეთ შემთხვევაში მართულ განსაზღვრებას ახლავს თავისივე მართული განსაზღვრება.

ომობანას თამაშობენ **მზესუმზირას ძირის თოფებით** (კეთ. 211, 9).

რო აღარა გვაქ **სულის მოთქმის სახსარი**, სიკვდილი მაშინ მოდის (ასულ. 269, 17).

ისეთი ჯანსაღი, **მგლის საფანტის სიმსხო ვაშლები** ესხათ (ალერს. 81, ქვ. 2).

ერთი **კამეჩის სახრის სიმსხო** კაკალი მიუციათ (ალერს. 69, 15).

დიდედას თქმით, **კაცის ფეხის ტალახიც** კი დიდი რამეა ოჯახისთვის (ალერს. 312, 24).

ნიშნობის ზეჰდის დაკარგვა არ დამენანებოდა ისე (ალერს. 70, 10).

შე **ქვაბის ძირის ყარაულო** (შორ. 140, ქვ. 5).

წინადადებაში შესიტყვების საზღვრულ წევრს შეიძლება რამდენიმე განსაზღვრება ახლდეს.

ჩავსხედით **ძირტკბილებისა და ფერიცვალების ტევრში** (მეგობ. 75, 3).

წყლისა და ვერხვის ტოტების შხრიალს თქორში დაწიოკებული კაჭკაჭებისა და ყვავების ჩხავილი უერთდებოდა (ასულ. 114, 19).

მსაზღვრელთან შეიძლება რამდენიმე საზღვრულიც იყოს წარმოდგენილი:

ჭალი გამძლე იყო, თელისაგან გამოთლილი, **ურმის ბორბლის მორგვები, ფერსოები და სოლები** (შველ. 44, 3).

ზოგჯერ წინადადებაში რამდენიმე მართულმსაზღვრელიანი შესიტყვება თუ ფრაზეოლოგიზმი დასტურდება:

გადავედით შეჭამანდებზე – მახოხი, ჭრიანტელი, **თხლის შეჭამანდი, შვინდის შეჭამანდი**, ლოლოსი, კვრინჩხისა, **დოს შეჭამანდი** (შველ. 98, 12).

გზის მაიმუნებო, სოფლის მასხარებო–მეთქი (ალერს. 255, ქვ. 10).

თქვე **მზის მუქთებო, მყუდროს მათხოვრებო** (ალერს. 249, 13).

აღსანიშნავია, რომ ქველში დადასტურებული ზოგი მართულმსაზღვრელიანი შესიტყვება რ. ინანიშვილისეულია. მაგ. **საწინდლების გადასაჭირებელი** არ გაუხსნია, ისევე ჩაიცვა (შორ. 122, ქვ.7).

რა თქმა უნდა, ჩვენ მიერ დასახელებულ შესიტყვებათა წევრები დამოუკიდებელი ან გადატანითი მნიშვნელობით ქეგლშია წარმოდგენილი, ზოგი მათგანი კი დიალექტიზმია, მაგ. **კრუალები, ჩამოლურსვა.**

წყაროები (შემოკლებანი)

- ალერს.** – ალერსი შიშიანობის დროს, თბ., 1986.
ასულ. – მთვარის ასული, თბ., 1987.
გოლ. – პატარა ბიჭი გოლგოთაზე, თბ., 1989.
კეთ. – კეთილი მიწა თბ., 1984.
მეგობ. – მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან, თბ., 1958.
სად. – სადამო ხანის ჩანაწერები, თბ., 1973.
შველ. – შველი ზამთარში, თბ., 1986.
შორ. – შორი თეთრი მწვერვალი, თბ., 1976 .
წვეთ. – წვეთები ფოთლებზე, თბ., 1962.
ჯაფ. – ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა, თბ., 1974.

Nineli Chokhnelidze

The Folk Syntagms and the Phraseologisms with the Governed Qualifier (Based on R. Inanishvilis's Language)

S u m m a r y

In R. Inanishvilis's language there are attested free syntagms, when their parts can be replaced by other words, as well as limited syntagms, when one of the member of a syntagm has a limited field of use. That is why the choice of selecting the second member is limited. Basically, the

free syntagms are attested more often while the limited ones are found during denomination.

In the dialogues, especially in the speech of the characters, the author often uses phraseologisms to express irony or ridicule. In some cases the three-word syntagms and phraseologisms can be found where the governed qualifier occurs next to the governed qualifier.